

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

წერილი ხელმძღვანელობას 2008 წლის 31 აგვისტოს
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის შედეგებზე

რეკომენდაციები ფონდის მენეჯმენტს

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ხელმძღვანელობას:**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2008 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ჩვენ განვიხილეთ მისი შიდა კონტროლისა და საბუღალტრო სისტემა, რათა განგვესაზღვრა აუდიტის პროცედურები ფინანსურ ანგარიშგებაზე, აუდიტორული დასკვნის გამოტანის მიზნით და არა შიდა კონტროლის სტრუქტურაზე რწმუნებულების გასაცემად. ჩვენ განვიხილეთ კომპანიის შიდა კონტროლის სტრუქტურა, მხოლოდ იმ მასშტაბით, რაც საჭირო იყო აუდიტის პროცედურების განსაზღვრისათვის. ასეთი განხილვა არ იძლევა ახსნა-განმარტებებს შიდა კონტროლის სტრუქტურის ყველა სუსტი მხარის შესახებ, რაც შეიძლება არსებობდეს. შესაბამისად, ჩვენ არ ვიძლევი დასკვნებს შიდა კონტროლის სისტემაზე.

ეს ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელობის შიდა მოხმარებისთვის.

ჩვენ სიამოვნებით განვიხილავთ ჩვენს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს თქვენთან ერთად.

**საქართველოს აუდიტორული და
საკონსულტაციო კომპანია**

თბილისი, საქართველო

19. 09. 2008

1. სააღრიცხვო პოლიტიასთან დაკავშირებით

შენიშვნა

ასოციაცია შემოსავლებს აღრიცხავს საკასო მეთოდით, გარდა ტრეინინგიდან მიღებული შემოსავლებისა, რომლის აღიარებაც ხდება ტრეინინგის დაწყებისთანავე, მომსახურების გაწევამდე.

რეკომენდაცია

ჩვენ ვიძლევიტ რეკომენდაციას, ასოციაციამ შემოსავლების აღრიცხვა აწარმოოს დარიცხვის მეთოდით, ბასს-ის შესაბამისად და შემოსავლები აღიაროს სამეურნეო ოპერაციის მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრების მიღების მომენტში.

შენიშვნა

ასოციაცია არ აწარმოებს შრომითი დანახარჯების აღრიცხვას სამუშაო დროის გამოყენების ტაბელის მეშვეობით და არ ხდება ზეგანაკვეთური ნამუშევარი დროისა და მოცდენების აღრიცხვა.

რეკომენდაცია

ჩვენ ვიძლევიტ რეკომენდაციას შემუშავებული იქნას სამუშაო დროის გამოყენების აღრიცხვის სისტემა რის საფუძველზეც მოხდება დაქირავებულთა კუთვნილი ხელფასის გაანგარიშება.

შენიშვნა

ასოციაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, გრანტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროექტს და სხვა საქმიანობას, რომელიც მიმართულია წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად. თითოეულ ამ საქმიანობასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები აღიარდება განცალკევებით. საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები კი მათ შორის ნაწილდება სუბიექტურად და არა რაიმე დასაბუთებული ეკონომიკური ბაზის საფუძველზე.

რეკომენდაცია

ჩვენ ვიძლევიტ რეკომენდაციას, საერთო ხარჯების განაწილება მოხდეს ეკონომიკურად დასაბუთებული ბაზის საფუძველზე (მაგალითად შემოსავლების პროპორციულად). ასეთი გამიჯვნა საშუალებას მოგვცემს მოგების გადასახადის მიზნებისთვის გამოქვითვების გაანგარიშება იყოს უფრო ზუსტი.

რეკომენდირებულია მოხდეს ქონების გადასახადის გაანგარიშების მიზნით სამეწარმეო და არასამეწარმეო მიზნებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებების გამიჯვნა ანალოგიური პრინციპით.

ანალოგიურად უნდა მოხდეს ჩასათვლელი დღგ-ის გამიჯვნა.

შენიშვნა

ასოციაციამ 2008 წელს შეიძინა საოფისე შენობა 456,700 ლარად. საზოგადოების წესდების 14.15 მუხლის ქ ქვეპუნქტი ამ მოცულობის აქტივის შესაძენისთვის ითვალისწინებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს თანხმობას. 2008 წლის 27 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ადასტურებს ოფისის შეძენაზე თანხმობას. რადგან ასოციაციას არ გააჩნდა საკმარისი თავისუფალი ფულადი სახსრები, საოფისე ფართის შეძენა მოხდა საბანკო კრედიტის მეშვეობით, რითაც ასოციაციას წარმოშვა ვალდებულება ყოველთვიურად სესხისა და პროცენტის დასაფარად გადაიხადოს 10,845 ლარი 3 წლის განმავლობაში.

რეკომენდაცია

ბანკისთვის ყოველთვიურად გადასხდელი თანხა დაახლოებით ასოციაციის 2008 წლის საშუალო თვიური შემოსავლის 20% შეადგენს, შემოსავლები კი სხვადასხვა თვეში მკვეთრად არათანაბარია. ასეთ სიტუაციაში აუცილებელია გაუმჯობესდეს ფულადი ნაკადებისა და ბიუჯეტის მართვა და დაგეგმვა, რათა თავიდან იქნას აცილებული ფინანსური პრობლემები.

შენიშვნა

ასოციაციის ძირითადი საშუალებები არ არის მარკირებული და არ აქვთ მინიჭებული საინვენტარო ნომერი.

რეკომენდაცია

უნდა მოხდეს ძირითადი საშუალებების მარკირება, მათთვის ინდივიდუალური საინვენტარო ნომრების მინიჭება და მატერიალურ პასუხისმგებელ პირზე გადაცემა. ამით გამარტივდება ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პროცესი, მათი იდენტიფიცირება და უზრუნველყოფილი იქნება მათი დაცულობა.

2. გადასახადებთან დაკავშირებით

შენიშვნა

ასოციაციას 2007 წლის განმავლობაში იჯარით ქონდა აღებული საოფისე ფართი ფიზიკური პირისგან (მის: არაყიშვილის I ჩიხი №9). სკკ-ის 281-ე მუხლის 18-ე პუნქტის შესაბამისად ასეთ ქონებაზე ქონების გადასახადის გადახდა ევალება მოიჯარეს. ასოციაცია ქონების გადასახადის გაანგარიშებისას ეყრდნობა დაშვებას, რომ აღნიშნული ფართი ახლადაშენებული რომ იყოს 1 კვ/მ – ის საბაზრო ფასი იქნებოდა 400 ლარი, რაც რეალურზე რამდენჯერმე დაბალია. გაანგარიშებაში მითითებულია, რომ ქონების გადასახადით დასაბეგრი გაქირავებული ფართის ღირებულებაა 32,960 ლარი (1 კვ/მ-ის ღირებულება 206 ლარი X 160 კვ/მ).

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“
წერილი ხელმძღვანელობას 2008 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგებზე

საგადასახადო ორგანომ საბაზრო ფასის განსაზღვრისთვის შესაძლოა იხელმძღვანელოს სსკ-ის 22-ე მუხლით და ქონების გადასახადი გაიანგარიშოს და დააკისროს ასოციაციას რეალური საბაზრო ფასიდან.

რეკომენდაცია

ჩვენ ვიძლევიტ რეკომენდაციას ქონების გადასახადის გაანგარიშება მოხდეს საოფისე ფართის საბაზრო ფასის შესახებ ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და ჩაბარდეს 2007 წლის ქონების გადასახადის დაზუსტებული დეკლარაცია.

შენიშვნა

ასოციაცია ატარებს ტრეინინგებს იურისტებისთვის. ტრეინინგებზე დასწრება უფასოა ასოციაციის წევრებისთვის, ხოლო ასოციაციის არაწევრი პირისთვის საფასური შეადგენს 200 ლარს. საგადასახადო ორგანომ შესაძლოა აღნიშნული ოპერაცია მიიჩნიოს, როგორც მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება ასოციაციის წევრებისთვის და სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოითხოვოს მისი დაბეგვრა დღგ-ით. ასევე, საგადასახადო ორგანოების მხრიდან შესაძლოა გამოყენებული იქნას სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის დარიცხვა გადაუხდეღ თანხაზე და 132-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა გადასახადის შემცირებისათვის.

რეკომენდაცია

ჩვენ ვიძლევიტ რეკომენდაციას, რომ არ მოხდეს ტრეინინგის საფასურის მიღება და მას მიეცეს შემოწირულობის სახე ან მოხდეს ასოციაციის წევრებისთვის უფასო ტრეინინგების დაბეგვრა.

**3. სხვა საკითხები რომელმაც მიიძცია აუდიტორის მშრადრება
აუდიტის პროცესში**

შენიშვნა

აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საერთო კრების მიერ დამტკიცებული 2005 - 2007 წლების ბიუჯეტი და წლიური ანგარიში.

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ასოციაციის ხელმძღვანელის ხელფასის ოდენობის განსაზღვრა მოხდა 2006 წლის 1 თებერვალს 5,000 ლარის ოდენობით. ასოციაციის ხელმძღვანელის ხელფასი გაცემულია 2006 წლის 1 თებერვლამდე პერიოდზეც 2006 წლის დეკემბრის თვეში.

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

წერილი ხელმძღვანელობას 2008 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგებზე

ასოციაციის მიერ 2006 წლის დეკემბერში ავტომობილის შეძენასთან დაკავშირებით ფიზიკური პირისთვის ავანსადაა გადახდილია ავტომობილის ღირებულება 8,622.50 ლარი, რომელიც დღემდე არ არის გადაფორმებული ასოციაციის სახელზე.

ადვოკატთა ასოციაციის წესდებით იმ გარიგებებზე, რომელთა ღირებულებაც აღემატება ასოციაციის ბიუჯეტის 10%-ს მოითხოვება აღმასრულებელი საბჭოს თანხმობა. ასოციაციამ 2008 წელს შეიძინა საოფისე ფართი რისთვისაც აიღო საბანკო კრედიტი 300,000 ლარი. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ვერც საერთო კრების მიერ დამტკიცებული 2008 წლის ბალანსი და ვერც აღმასრულებელი საბჭოს თანხმობის დოკუმენტი სესხის აღებაზე.

რეკომენდაცია

აღნიშნული დარღვევები იქცევა ჩვენს ყურადღებას, მაგრამ მათი დეტალური შესწავლა არ წარმოადგენს ჩვენი კომპეტენციის სფეროს. ჩვენ ვიდევით რეკომენდაციას აღნიშნული დარღვევები განიხილოს ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ.

კორექტირებაში ფინანსურ ანგარიშგებაში

ჩვენს მიერ ასოციაციის ფინანსურ ანგარიშგებაში (ბრუნვათა ბალანსში) შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილებები:

- 1) მცირეფასიანი საგნები გადატანილი იქნა ხარჯებში - 152 ლარი;
- 2) მოხდა ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება (გაზრდა), რადგან არ იყო დარიცხული 2008 წლის 8 თვის ცვეთა - 6,690.66 ლარი;
- 3) მოხდა არამატერიალური აქტივების ცვეთის კორექტირება (გაზრდა), რადგან არ იყო დარიცხული 2008 წლის 8 თვის ცვეთა - 41.23 ლარი;
- 4) მოხდა უცხოური ვალუტის გადაფასება ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით, რადგან არ იყო გადაფასებული - 6,396.32 ლარი;
- 5) მოხდა აგვისტოს თვის სესხის პროცენტის დარიცხვა - 4,490.62 ლარი.

კორექტირებებთან დაკავშირებული საბუღალტრო გატარებები:

დებეტი ანგარიში	კრედიტი ანგარიში	თანხა	ოპერაციის შინაარსი
203	71	152.00	მცირეფასიანი საგნები ჩამოწერილია ხარჯებში
203	20	6,690.66	ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება
203	21	41.23	არამატერიალური აქტივების ცვეთის კორექტირება
203	92	6,379.28	უცხოური ვალუტის გადაფასება
203	93	17.04	უცხოური ვალუტის გადაფასება
203	154	4,490.62	დარიცხულია აგვისტოს სესხის პროცენტი